



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### აბჯარი

აბჯარი, სამხედრო საჭურველი, რომელიც მეომარსა და მის ცხენს მტრის მჭრელი და საძვერებელი იარაღისაგან იცავდა.

„ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა უფროსად საცვამთა ჯაჭვთა“ (საბა). უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ხისა და ტყავის ა., ლითონის ა. ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. იგი შედგებოდა ჩაფხუტის, ჯაჭვ-კურტაკისა და ლითონის ან ლითონგადაკრული ტყავის სართყლისაგან. მკლავებზე (მაჯიდან იდაყვამდე) მეომრები 25–30 ცალ ბრინჯაოს რგოლს იცვამდნენ. ფეხების დასაცავად სპარტელები ზედ ქეჩას იკრავდნენ, შემდგომში კი ლითონის მთლიან ფირფიტებს ხმარობდნენ. ძვ. საბერძნეთში მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითს სელის ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან შეკერილი ქურქი ეცვა, თავზე მსუბუქი ჩაფხუტი ეხურა და ხელთ მცირე ფარი ეპყრა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითის (პოპლიტის) ა. შედგებოდა სპილენძის ან რკინის მუზარადის, ჯავშნის, ოვალური ფარის და საჩერნისაგან. ლითონის სართყელზე დამაგრებული იყო ლითონგადაკრული ბრტყელი თასმები, რ-ებიც კაბასავით ეშვებოდა და მეომარს წელქვევით იცავდა. ასეთივე სართყელი და ჩაფხუტი ჰქონდათ რომაელებსაც. ისინი, გულ-მკერდს ზედ დამაგრებული ლითონის დაფით იცავდნენ. ა-ად ხმარობდნენ აგრეთვე ტყავის ტანსაცმელს, რ-ზეც ლითონის ფირფიტები ან რგოლები იყო დაკრებული. ამგვარი ა-გან გაჩნდა შემდგომში თორი. ა-ის ხმარება რომალებისაგან გალებმა ისწავლეს. ძვ. გერმ. ტომებმა ლითონის ა. VII–VIII სს-ში შემოიღეს. XI ს. ევროპაში გავრცელებული იყო ფოლადის ფირფიტებისაგან შეკრული მთლიანი ა., ხოლო ჯაჭვის ა. – ფოლადის რგოლებით მჭიდროდ ასხმული ბადის შარვალი და პერანგი – ჯვაროსნებმა შეიტანეს აღმ-იდან (ჯაჭვის ა-ის ხმარება ჯერ კიდევ ძვ. ასურელებმა იცოდნენ). ამ ა-ის მუზარადსაც ფოლადის ბადე (ზარადი) ჰქონდა, რ-იც მხრებს სწვდებოდა და კეფასა და სახეს იცავდა. შემდგომში ჯაჭვის პერანგზე (მხრებზე, კისრის არეში და სხვ.) ზოგჯერ ლითონის ფირფიტებსაც ამაგრებდნენ. XV ს. მხედარს ეცვა

ჯავშანი, სანჯივე, საბარკული და ლითონის ფეხსაცმელი, ხელებზე – ჯაჭვებგადაკრული ხელთათმანი. ცხენსაც ჯავშანი იცავდა, შუბლს ლითონის საშუბლე უფარავდა და მკერდზე ფარი ჰქონდა ამოკრული. ა. მეომარს თითქმის ყოველგვარი იარაღისაგან იცავდა. საასპარემო და საზეიმო ა. ოქრო-ვერცხლით, პატიოსანი თვლებით და მდიდრული ქსოვილებით იყო მორთული. მძიმედ შეიარაღებული აბჯროსანი რაინდი ძლიერი ძალა იყო და ხშირად ბრძოლის ბედს წყვეტდა. ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებასთან ერთად ა-მა თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა.

საქართველოში ა-ს უძველესი დროიდან ხმარობდნენ. თრიალეთში არქეოლ. გათხრების დროს აღმოაჩინეს ბრინჯაოს მუზარადისა და ფარაგის ნაშთები (ძვ. წ. III ათასწლ.); ლილოსა და კაჭრეთში – ბრინჯაოს მრგვალი ფარები, სამთავროში – ბრინჯაოს სარტყელები. ვანში აღმოჩენილ ანტ. ხანის სამარხში დაკრძალულ მეომარს ბრინჯაოს საბარკული და სანჯივე ეცვა. პეროდოტეს ცნობით (ძვ. წ. V ს.), მოსინიკებს ტყავის მუზარადი ეხურათ და ქსოვილის კვართი ემოსათ; მოსხებს დანნული, ხარისტყავგადაკრული, ფათალოს ფურცლისებრი ფარები ჰქონდათ, სხეულს კი სელის კვართით იცავდნენ; ხალიბებსაც სელის კვართი ეცვათ. თავსარქმელად ხესაც იყენებდნენ. ხის მუზარადი ეხურათ მოსინიკებს, ტიბარენებს, კოლხებს. ბერძნ. მითის მიხედვით, კოლხეთის მეფე აიეტს ღვთაება არესისგან ნაბოძები ჰქონდა ოთხჯილიანი ოქროს მუზარადი. საქართველოში ნადავლ საჭურველს, მ. შ. მუზარადებს, სალოცავებს სწირავდნენ. მაგ., ქუცნა ამირეჯიბს ჯალალედინის მუზარადი მრავალძლის ეკლესიისათვის შეუწირავს (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში ინახება). ქართვ. მეომრები თავსარქმელად მუზარადს, ჩაფხუტს და ჩაჩქანს იყენებდნენ. ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქანქვეშ თუშურ ქუდს იხურავდნენ, მუზარადქვეშ – სვანურს. ტერმ. „აბჯარი“ შუა საუკ. დასაწყისიდან საერთოდ საჭურველს აღნიშნავდა. შუა საუკ. მინურულში „აბჯრის“ შინაარსი „იარაღმა“ მიითვისა. აბჯარში კი მხოლოდ თავდასაცავი საჭურველი იგულისხმებოდა. ა. საქართვ. მთაში, სადაც მას თითქმის ბოლო დრომდე ხმარობდნენ, ფართო გაგებით თავდასაცავი და შესატევი საჭურველის ერთ „ტანს“ (ერთ კომპლექტს) აღნიშნავდა. მასში შედიოდა მუზარადი ან ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი ან ჯავშანი, სამკლავები, ფარი, ხმალი, დაშნა, ურსა (დანა), საჩერნე, საბარკული, საცერული, შემდეგ – თოფიც, დამბაჩაც, მასრებიც და საპირისწამლეც.

ლიტ.: ჩოლოყაშვილი კ., ქართული საბრძოლო იარაღები. ფარი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1954, ტ. 18 B; მისივე, ქართული საჭურველი. ჯაჭვი, იქვე, 1956, ტ. 19B; მისივე, ქართული საჭურველი. ჩაჩქანი, იქვე, 1957, ტ. 19A და 21B; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3 – 4, თბ., 1962; Разиш Е. А., История военного искусства с древнейших времен до первой империалистической войны 1914 – 1918 гг., ч. 1 – 2, М., 1940.

